4470

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ Орган Центрального и Тбилисского комитетов КП (б) Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

შაბათი
17 მაისი
1941 წ.
№ 114 (6119)
ფასი 15 კაპ.

ხვალ თბილისში, ლ. პ. ბერიას სახელობის მოედანზე საქართველოს ფიზკულტურელთა ტრადიციულ პარადში მონაწილეობას მიიღებს 25.000 სპორტსმენი.

მხურვალე ბოლშევიკური სალამი ლენინ-სტალინის დიადი პარტიის საქმის ერთგულ საბჭოთა ახალგაზრდა პატრიოტებს!

## წარმატებით დავამთავროთ სასწავლო წელი

დღეს საქართველოს სკოლებში მეცადინეობა მთავრდება. სამი დღის შემდეგ, 20 მაისს, დაიწყება კლასიდან კლასში გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდები. ეს იქნება არა მარტო მოსწავლეების, არამედ აგრეთვე მასწავლებლების, სკოლის დირექტორების, სახალხო განათლების ორგანოების, სასკოლო ორგანიზაციების, მშობლების გამოცდები, იმის შემოწმება, თუ როგორ სრულდებოდა ყოველმხრივ მომზადებული, კულტურული, მეცნიერებათა საფუძვლებს დაუფლებული, ჯანსაღი და შრომისუნარიანი თაობის აღზრდის საპატიო და პასუხსაგები ამოცანა.

ჩვენი სკოლები ძირითადად მომზადებულად ეგებებიან გამოცდებს. სასწავლო წლის უკანასკნელი მეოთხედის განმავლობაში პროგრამით გათვალისწინებული მასალის სწავლებასთან ერთად გეგმიანად, სისტემატურად ხდებოდა გავლილი მასალის განმეორება, საკვანძო საკითხების ხელახალი დამუშავება. ბევრმა სკოლამ საუკეთესოდ მოაწყო აკადემიურად სუსტ და ჩამორჩენილ მოსწავლეთათვის დახმარება, სკოლების დიდმა უმრავლესობამ მთლიანად ამოსწურა სახელმწიფო სავალდებულო პროგრამები, უკვე შედგენილია საგამოცდო ბილეთები და ცხრილი.

სკოლების პედაგოგიურმა საბჭოებმა უკვე განიხილეს განსახკომის მიერ გამოცემული ინსტრუქცია, მაგრამ არის ცნობები იმის შესახებ, რომ გამოცდებისათვის მოცემული სავალდებულო მითითებანი ყველგან სათანადოდ ვერ გაატარეს.

თბილისის ლენინის რაიონის მე-31 სკოლაში საგამოცდო ბილეთები ზერელედ იყო შედგენილი. მე-8 კლასისათვის საგამოცდოდ გათვალისწინებულ ბილეთებში პროგრამიდან არ შეიტანეს: ფოლკლორული მასალის დიდი ნაწილი, სულხან-საბა ორბელიანის 22 იგავ-არაკი, პოეტიკიდან 28 საკითხი. სამაგიეროდ ბილეთებში შეხვდებოდით ისეთ თემებს, როგორიცაა: „ინტიმური საკითხი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში", არასწორად დაწერილ და მოწაფის ცოდნის ნაკლებად გამომმჟღავნებელ საკითხებს, მაგალითად, „ბუზების თვლა — „კაცია-ადამიანი?!" (მე-6 კლასის ბილეთებში) და სხვ. ასევე იყო შედგენილი მე-10 კლასის ბილეთებიც, საიდანაც პროგრამით მოცემული 19 საკითხი გამოსტოვეს, ხოლო სანაცვლოდ შეიტანეს ისეთები, რომლებიც მე-8, მე-9 კლასების პროგრამით არის გათვალისწინებული და საჭირო არ იყო მათი შეტანა მე-10 კლასის საგამოცდო ბილეთებში. იმავე მე-10 კლასში პოეტიკის პროგრამით მოცემული 18 საკითხიდან მასწავლებელმა ბილეთებში 15 თემა არ შეიტანა.

მე-31 სკოლის მაგალითი გამონაკლისი როდია. ასეთსავე მდგომარეობას შეიძლება სხვაგანაც ჰქონდეს ადგილი. ამიტომ სკოლების დირექტორებმა, სახალხო განათლების ორგანოებმა ბილეთები კიდევ ერთხელ უნდა შეამოწმონ. ბილეთები თანაბარი სიძნელის უნდა იყოს, თვითეული შესდგებოდეს პროგრამის სხვადასხვა განყოფილებიდან აღებული ორი-სამი ნათელი, მოსწავლისათვის გასაგებად და გარკვევით დაწერილი საკითხისაგან. ბილეთების რაოდენობა ამა თუ იმ საგანში არ უნდა აღემატებოდეს 25-30-ს, მაგრამ ამ ბილეთებში მოცემული საკითხები მთლიანად უნდა ამოსწურავდეს სასწავლო პროგრამას და თვითეული ბილეთი მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურად შეფასების საშუალებას იძლეოდეს.

მართალია, გამოცდები სკოლის მუშაობის ძნელი და სერიოზული მომენტია, მაგრამ გამოცდები არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადავაქციოთ საფრთხობელად. პირიქით, ის მოსწავლეებისათვის სახალისო და სასიხარულო უნდა იყოს. ხოლო ამას მაშინ მივაღწევთ, თუ გამოცდებს მოვაწყობთ სწორად, ორგანიზებულად, შევქმნით სავსებით ნორმალურ პირობებს, მაქსიმალურად შევამცირებთ მოსწავლეთა გადატვირთვას კრებებით, საღამოებით და სკოლის გარეშე მუშაობის სხვა ღონისძიებებით.

სასკოლო მუშაობაში უმნიშვნელო წვრილმანები არ არსებობს. ეს განსაკუთრებით ითქმის გამოცდების პერიოდზე. ამიტომ სახალხო განათლების ორგანოების, სკოლების დირექტორების ვალია სრულ წესრიგში მოიყვანონ გამოცდებისათვის საჭირო სასწავლო ნივთები და სასკოლო ინვენტარი, ისე რომ გამოცდები სკოლის წლიური მუშაობის ბუნებრივი შედეგი იყოს.

განსაკუთრებით პასუხსაგები როლი აკისრიათ სახალხო განათლების ხელმძღვანელ ორგანოებს. ისინი მოვალენი არიან ყოველდღიურად შეამოწმონ, კონტროლი გაუწიონ გამოცდების მიმდინარეობას. სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს ე. წ. „პროცენტომანიისა" და მოსწავლეთა ცოდნის შეფასებისადმი ლიბერალური მიდგომის ყოველგვარ გამოვლინებას. გამოცდებმა უნდა მოგვცეს მოსწავლეთა წარმატებულობის სწორი, ნამდვილი სურათი, დაგვანახოს, თუ როგორ მუშაობდნენ სკოლა და მასწავლებელი მეორეწლიანობის აღმოფხვრისათვის, მოსწავლეთა მიერ მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლებისათვის, წერითი და ზეპირი მეტყველების მაღალი კულტურის გამომუშავებისათვის.

გამოცდები ჩვენი საბჭოთა სკოლის მუშაობის მეტად პასუხსაგები უბანია. გამოცდებისაგან მიღებული შედეგების საფუძველზე უნდა გაიშალოს მუშაობა მომავალი სასწავლო წლისათვის საუკეთესოდ მოსამზადებლად.

დროა ბოლო მოეღოთ იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც მიმდინარე სასწავლო წელს ხელს გვიშლიდნენ დასახული ამოცანის ბოლშევიკურად განხორციელებაში.

ორგანიზებულად ჩავატაროთ გამოცდები, საუკეთესოდ დავამთავროთ 1940-1941 სასწავლო წელი, ენერგიულად ვემზადოთ მომავალი სასწავლო წლისათვის— ეს არის ახლა ჩვენი საბრძოლო ამოცანა და იგი წარმატებით უნდა გადავწყვიტოთ.

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მხატვარ მ. ი. ავილოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ფერწერის განვითარების საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის დაჯილდოებულ იქნას მხატვარი მიხეილ ივანეს-ძე ავილოვი შრომის წითელი დროშის ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი. 1941 წლის 15 მაისი.

## თათბირი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში წყალთა მეურნეობის სამუშაოთა მიმდინარეობის საკითხზე

გუშინ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში ამხ. კ. ჩარკვიანის თავმჯდომარეობით შესდგა თათბირი წყალთა მეურნეობის სამუშაოთა მიმდინარეობის საკითხზე.

თათბირს დაესწრნენ პარტიის საოლქო კომიტეტებისა და რაიკომების მდივნები, რაიონული საბჭოების აღმასკომთა თავმჯდომარეები, წყალთა მეურნეობის სამუშაოთა ობიექტების უფროსები, წყალთა მეურნეობის სპეციალისტები.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ვ. ბაქრაძემ, კ. შეროზიამ, ს. ხოშტარიამ, ა. თოფურიძემ.

წყალთა მეურნეობის სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარი ამხ. გ. ზამბახიძე.

მოხსენების გამო იტყვებით გამოვიდნენ კეხვის არხის მშენებლობის უფროსი ამხ. ტებლოევი, საქართველოს კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომის მდივანი ამხ. წვერავა, საქართველოს კ. პ. (ბ) ქარელის რაიკომის მდივანი ამხ. ხუციშვილი, საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიკომის მდივანი ამხ. მიხანაშვილი, საქართველოს კ. პ. (ბ) მაიაკოვსკის რაიკომის მდივანი ამხ. კაპანაძე, საქართველოს კ. პ. (ბ) გალის რაიკომის მდივანი ამხ. თოდუა, აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ფუტკარაძე, საქართველოს კ. პ. (ბ) ხობის რაიკომის მდივანი ამხ. ჯიქია, საქართველოს კ. პ. (ბ) მცხეთის რაიკომის მდივანი ამხ. თვალჭრელიძე და საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. ხოშტარია.

თათბირის შედეგები თავის სიტყვაში შეაჯამა ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა.

თათბირმა განიხილა წყალთა მეურნეობის 1941 წლის სამუშაოთა გეგმის შესრულების პრაქტიკული ღონისძიებანი.

## საკდესი უარჰყოფს

ჰავასის—ოფის სააგენტომ გაავრცელა ცნობა, რომლის თანახმად ბელგრადის რადიოსადგურმა გადასცა „საბჭოთა კომუნიკე", სადაც თითქოს ნათქვამია, რომ საბჭოთა მთავრობა ნებას რთავს მოხალისეთა შეკრებას საბჭოთა პილოტებს შორის ერაყის საჭირო არმიის სამსახურში შესასვლელად. თავისი ბეირუთელი კორესპონდენტის ანალოგიური ცნობა გამოაქვეყნა ამერიკის იუნაიტედ პრესის სააგენტომ.

საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ აღნიშნული ცნობები მოჭორილია. (საკდესი).

## ძერჟინსკის სახელობის ქარხნის კოლექტივი კისრულობს ვადამდე შეასრულოს ნახევარი წლის გეგმა

### შავი მეტალურგიის ყველა მუშას, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს

ძვირფასო ამხანაგებო!

გაჩაღებულმა სრულიად-საკავშირო სოციალისტურმა შეჯიბრებამ დიდი რეზერვები გამოავლინა შავი მეტალურგიის საწარმოებში.

1940 წლის IV კვარტალისა და ამა წლის 4 თვის მანძილზე ჩვენი ქარხანა ყოველთვიურად ზრდის ლითონის წარმოებას, აუმჯობესებს ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებლებს, განამტკიცებს შრომისა და ტექნოლოგიურ დისციპლინას. მეტალურგებს შეუძლიათ უფრო გაადიდონ თუჯისა და ფოლადის გამოდნობა, ნაგლინის გამოშვება. ამის გზას ჩვენ გვიჩვენებენ XVIII სრულიად-საკავშირო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებანი. ჩვენ მოვალენი ვართ მთელი ბოლშევიკური გატაცებით გავაჩაღოთ ბრძოლა ამ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის—უმოკლეს ხანში მივაღწიოთ ახალს, უფრო დიდ გამარჯვებებს.

სამხრეთისა და ცენტრის შავი მეტალურგიის მუშაკთა საწარმოო-სამეურნეო აქტივის თათბირმა სიტყვა მისცა ჩვენს ბელადს ამხანაგ სტალინს — **ვადამდე შეასრულოს 1941 წლის გეგმა.** ბოლშევიკების სიტყვა საქმეს როდი შორდება. წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის საჭიროა უზრუნველვყოთ ნახევარი წლის დავალების გადაჭარბებით შესრულება. ძერჟინსკის სახელობის ქარხნის კოლექტივი მოუწოდებს საბჭოთა კავშირის ყველა მეტალურგს **აააზვირთონ ახალი ტალღა სოციალისტური შეჯიბრებისა ნახევარი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის,** ბრძმედების, მარტენებისა და საგლინავი ჩარხების კოეფიციენტების უკეთესი გამოყენებისათვის. ძერჟინსკელები ვალდებულებას კისრულობენ 1941 წლის პირველი ნახევრის გეგმა შეასრულონ მტკიცედ შეკვეთების თანახმად: თუჯის გამოდნობის და ნაგლინის წარმოებისა — **17 ივნისს;** ფოლადის გამოდნობისა — **19 ივნისს.** გარდა ამისა, ვალდებულებას ვკისრულობთ ნახევარი წლის განმავლობაში გეგმის გადამეტებით მივიღოთ 5 მილიონი მანეთი დაგროვება.

ძერჟინსკის სახელობის ქარხნის კოლექტივი მოუწოდებს ყველა მეტალურგს მიჰბაძონ ამ მაგალითს და მიაღწიონ ნახევარი წლის გეგმის ვადამდე შესრულებას.

მეტალურგები მოვალენი არიან სავსებით უზრუნველჰყონ ჩვენი ქვეყნის საჭიროება ლითონით და თავიანთი წმინდა ვალი მოიხადონ საყვარელი სამშობლოს წინაშე.

ბოლშევიკური საქმით დავამტკიცოთ ჩვენი სიყვარული და ერთგულება ლენინ-სტალინის პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი.

**(წერილი განხილულია 1941 წლის 12 და 13 მაისს ძერჟინსკის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების საამქროთა კრებებზე).**

„პრავდა", 15 მაისი.

## „სერპ ი მოლოტის" მეტალურგთა ვალდებულებანი

15 მაისს მოსკოვის ქარხანა „სერპ ი მოლოტში" ფართოდ განიხილეს „პრავდაში" გამოქვეყნებული მიმართვა ძერჟინსკის სახელობის ქარხნის კოლექტივისა ნახევარი წლის პროგრამის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ.

ქარხანა „სერპ ი მოლოტის" კოლექტივმა გადაწყვეტილება მიიღო საერთო პროდუქციის ნახევარი წლის პროგრამა შეასრულოს 19 ივნისისათვის, ფოლადის გამოდნობის 6 თვის გეგმა—23 ივნისისათვის, ხოლო მზა ნაგლინის გეგმა—25 ივნისისათვის. (საკდესი).

## საბჭოთა მთავრობის პროტესტი გემ „კოლუმბიის" დაკავების წინააღმდეგ

**ვაშინგტონი,** 15 მაისი (საკდესი). ა. წ. 7 მაისს სან-ფრანცისკოში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განკარგულებით დააკავეს მატყლისა და ტყავის ტვირთი, რომლებიც საბჭოთა კავშირმა არგენტინასა და ურუგვაიში შეისყიდა და რომლებიც იტვირთებოდა „მტორგის" მიერ დაფრახტულ შვეციის გემ „კოლუმბიაში" სსრ კავშირში გამოსაგზავნად.

ა. წ. 14 მაისს სსრ კავშირის განგებო და სრულუფლებიანი ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ამხ. უმანსკი ეწვია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ბ-ნ ჰელს და საბჭოთა მთავრობის სახელით გადასცა მას საპროტესტო ნოტა საბჭოთა საქონლით დატვირთულ გემ „კოლუმბიის" დაკავების წინააღმდეგ.

## სომხური ლიტერატურის დეკადა მოსკოვში

### ორი სალიტერატურო საღამო

15 მაისს ფრუნზეს სახელობის ქარხნის კლუბში და გორბუნოვის სახელობის კულტურის სასახლეში გაიმართა სომხური ლიტერატურისადმი მიძღვნილი სალიტერატურო საღამოები.

შესავალი სიტყვით პროფესორმა ვ. ი. კირპოტინმა ფრუნზეს სახელობის ქარხნის კოლექტივს გააცნო დეკადის მონაწილენი. შემდეგ კრიტიკოსმა რ. გრიგორიანმა გააკეთა სომხური ლიტერატურის მიმოხილვა უძველესი ხანიდან ჩვენს დრომდე. საღამოზე დიდი წარმატებით გამოვიდა თანამედროვე თვალსაჩინო სომეხი პოეტი — ორდენოსანი ნაირი ზარიანი და დეკადის სხვა მონაწილენი.

სომეხ მწერალთა მეორე დიდი ჯგუფი ფილში ჩამოვიდა. გორბუნოვის სახელობის კულტურის სასახლის დარბაზში შეკრებილი 1500-მდე კაცი მხურვალედ მიესალმა უფროსი თაობის სომეხ მწერლებს: არაზის, დერენიკ დემირჩიანს, გეგამ სარიანს, სტეპან ზორიანს და მოძმე სომხეთის ნიჭიერ ლიტერატურულ ახალგაზრდობას. აქ მოხსენება გააკეთა კრიტიკოსმა ხორენ სარქისიანმა. სომეხმა მწერლებმა და მოსკოველმა მთარგმნელმა პოეტებმა გეგამ სარიანმა, სერგეი შერვინსკიმ და სხვებმა შეკრებილთ გააცნეს სომხური ლიტერატურის კლასიკოსებისა და დეკადის მონაწილეთა შემოქმედება.

საღამოებში მონაწილეობას იღებდნენ ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, თათრეთისა და მორდვეთის მწერლები. ორივე საღამო ლიტერატურული კონცერტით დამთავრდა და დიდი წარმატება ჰქონდა.

## ფრიდრიხ ენგელსის ახალი ხელნაწერი

მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტს შემატა ახალი დოკუმენტი, რომელიც ახასიათებს ფრიდრიხ ენგელსის მოღვაწეობას. მოსკოვში მყოფმა შვედმა ჟურნალისტმა ი. ფრ. დეკმა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტს საჩუქრად მიუძღვნა ფრიდრიხ ენგელსის 1893 წლის 3 ოქტომბრის წერილი, რომელიც მიმართულია ბლოხერისადმი. (საკდესი).

## ხელოვნური ნატი (ზამში)

ტყავის შემცვლელთა მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის მუშაკთა ჯგუფმა ამხ. ბლინოვას ხელმძღვანელობით შეიმუშავა ხელოვნური ნატის დამზადების სრულყოფილი მეთოდი. სპეციალური ხაოიანი ქსოვილი კაუჩუკის ხსნარით იჟღინთება. თავისი ხარისხით ეს ნატი ნატურალურს არ ჩამოუვარდება. იგი სალუქი, ხავერდოვანი და წყალგაუმტარია.

ამჟამად ზოგიერთ საწარმოში ეწყობა ამ ნატისგან ფეხსაცმლის მასობრივი წარმოება. გეგმით მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საფეიქრო ფაბრიკებმა და ტყავის შემცვლელთა მთავარი სამმართველოს საწარმოებმა წელს ფეხსაცმლის წარმოებისათვის უნდა გამოუშვან 40 ათასამდე მეტრი ხელოვნური ნატი.

15 მაისი (საკდესი).

## კოსმიური სხივების შესწავლა

უახლოეს ხანში პამირზე მიემგზავრება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკურ-ტექნიკური ინსტიტუტისა და ფიზიკური ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა ბრიგადა, 2-3 თვის განმავლობაში ბრიგადა 6.000 მეტრამდე სიმაღლეზე შეისწავლის ხოლმე კოსმოსურ სხივებს.

ბრიგადას ხელმძღვანელობს სტალინის პრემიის ლაურეატი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ა. ი. ალიხანოვი.

## ფრუნზელები შეჯიბრებაში ებმებიან

**კონსტანტინოვკა (სტალინოს ოლქი),** 15 მაისი (საკდესი). ძერჟინსკის სახელობის მოწინავე ქარხნის კოლექტივის მოწოდებას საბჭოთა კავშირის ყველა მეტალურგისადმი — გაეჩაღებინათ სოციალისტური შეჯიბრება მთელი ციკლის ნახევარი წლის პროგრამის ვადამდე შესრულებისათვის—მხურვალედ დაუჭირეს მხარი ფრუნზეს სახელობის მეტალურგიული ქარხნის მუშებმა.

ფრუნზელები შეჯიბრებაში ჩაებნენ და ვალდებულება იკისრეს: მთელი ციკლის ნახევარი წლის გეგმა შეასრულონ 25 ივნისისათვის, ხოლო ფოლადის გამოდნობისა—10 ივნისისათვის.

მეტალურგთა სრულიად-საკავშირო შეჯიბრებაში ფრუნზეს სახელობის ქარხანამ საკმაოდ კარგ შედეგებს მიაღწია: 4 თვის საწარმოო გეგმა შესრულებულ იქნა ვადამდე, პროდუქციის თვითღირებულება აპრილში შემცირებულია 6 პროცენტით. მაისის პირველ დეკადაში გადაჭარბებით არის შესრულებული თუჯის გამოდნობისა და ნაგლინის გადიდებული საწარმოო გეგმა. ფოლადის გამოდნობა გუშინდლიდან გეგმას სჭარბობს. ქარხანა წინანდებურადვე მთელი ციკლის საწარმოო დავალებას ასრულებს.

განამტკიცეს რა საპირველმაისო შეჯიბრების შედეგები, № 1 და 4 მარტენის ღუმელის სტახანოველმა მეფოლადეებმა ამხ. რიჟენკოვმა, ბაბარიკინმა, პერშინმა და სოლოშენკომ მარტენელთა შორის პირველებმა ვადამდე 20 დღით ადრე შეასრულეს 5 თვის დავალება.

ფრუნზეს სახელობის ქარხნის კოლექტივი ებმება შეჯიბრებაში მთელი ციკლის ნახევარი წლის საწარმოო პროგრამის ვადამდე შესრულებისათვის და იბრძოლებს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მეტალურგიული ქარხნის საპატიო სახელწოდების მოსაპოვებლად.

## საზაფხულო სეზონის გახსნა „არტეკში"

13 მაისს, საღამოს, ვ. მ. მოლოტოვის სახელობის სრულიად-საკავშირო პიონერთა სანატორიულ ბანაკში — „არტეკში" ზეიმით აღმართეს ბაირაღი. გაიხსნა საზაფხულო სეზონი. ამ საუცხოო კურორტზე 700 ბავშვი ისვენებს. მათ შორის არიან ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის მშრომელთა შვილები. აქ ყოველთვიურად დაისვენებს საბჭოთა კავშირის ათასობით ახალგაზრდა მოქალაქე. (საკდესი).

## უძლეველთა პარადი

**ხვალ,** საქართველოს ფიზკულტურელთა დღესასწაულის ტრადიციულ დღეს, ლ. ბერიას სახელობის მოედანზე თვალწარმტაცი სანახაობა გადაიშლება. მზიური საქართველოს ფიზკულტურელთა მიერ დემონსტრირებული იქნება სპორტული ოსტატობა, ძლევამოსილება და უსაზღვრო ერთგულება საყვარელ სამშობლოსადმი, დიდი სტალინისადმი.

ჩვენი აყვავებული რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაცია ერთერთი მოწინავეა საბჭოთა კავშირში. მან პარტიის, მთავრობისა და ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ ლავრენტი ბერიას მზრუნველობითა და დახმარებით შესძლო მშრომელთა ფართო მასებში ფიზკულტურისა და სპორტის ღრმად დანერგვა.

საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციების რიგებში მასობრივად იზრდებიან კულტურული, ჯანსაღი და პოლიტიკურად მომზადებული ადამიანები, რომლებიც მუდამ მზად არიან მკერდით დაიცვან მშრომელი ხალხის თავისუფლება და ბედნიერება.

ორდენოსანი საქართველოს ფიზკულტურელთა პარადი ჩვენი ფიზკულტურული ორგანიზაციების წარმატებათა და გამარჯვებათა დათვალიერებაა. და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს გამარჯვებანი მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენში ფიზკულტურა უყვარს ყველას—მუშას, სტუდენტს, კოლმეურნეს, წითელარმიელს, ინჟინერს, მოსწავლეს...

საქართველოს ფიზკულტურელები ყოველმხრივ ემზადებიან შრომისა და თავდაცვისათვის. ამაზე მეტყველებს მასობრივ-სპორტულ და სათავდაცვო შეჯიბრებებში ასიათასობით ახალგაზრდის მონაწილეობა. მაგალითად, ლენინურ-სტალინური კომკავშირის ინიციატივით ჩატარებულ კომკავშირელთა კროსსა და მასობრივ ტანვარჯიშულ შეჯიბრებებში მონაწილეობა მიიღო 412.435 კაცმა. მათ ნიშნოსანთა არმიაში ირიცხება 238.769 კაცი. სპორტის ყველა სახეში საქართველოს ფიზკულტურელებს მოწინავე ადგილები უკავიათ საკავშირო მასშტაბით.

მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. პირველ რიგში საჭიროა ფართოდ გაიშალოს ახალგაზრდობის სამხედრო - ფიზკულტურული მომზადება. ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მითითება იმის შესახებ, რომ საბჭოთა ქვეყანა კაპიტალისტურ გარემოცვაში იმყოფება და მუდამ მზად უნდა ვიყოთ თავდაცვისათვის, რომ მტერს, საიდანაც არ უნდა მოვიდეს იგი, გამანადგურებელი დარტყმით ვუპასუხოთ.

იმისათვის, რომ საბჭოთა ახალგაზრდამ წარმატებით შეასრულოს თავისი წმინდათაწმინდა მოვალეობა — სამშობლოს დაცვა, იგი უნდა იყოს ყოველმხრივ მომზადებული ფიზკულტურელი და საუკეთესოდ დაუფლებული სამხედრო საქმეს.

მეთხილამურე, ალპინისტი, ტანმოვარჯიშე, მძლეოსანი, ძალოსანი, ფეხბურთელი და სხვ. თავისი საქმის ოსტატიც უნდა იყოს და თან საუკეთესოდ უნდა შეეძლოს შაშხანის ხმარება, ხელჩართული ბრძოლა, ხელყუმბარის ტყორცნა...

საბჭოთა ფიზკულტურელებმა სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის ბრძოლაში მრავალჯერ ისახელეს თავი. მაგალითად, თეთრფინელებთან ბრძოლის მონაწილე ლენინგრადის ლესგაფტის სახელობის ფიზკულტურის ინსტიტუტის 69 სტუდენტი ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვეს. ეს იმას მოწმობს, რომ მხოლოდ სამხედრო საქმეს დაუფლებულ ფიზკულტურელს შეუძლია გმირული ბრძოლა და გამარჯვება. ეს მუდამ უნდა ახსოვდეს თვითეულ ჩვენს ფიზკულტურელს.

ფიზკულტურული პარადი იმ ახალგაზრდობის დღესასწაულია, რომელსაც სწამს, რომ:

„...არ არსებობს ტანსაცმელი
უკეთესი ქვეყანაზე,
ვით ბრინჯაოსფერი კანი
და კუნთები ჯანით სავსე!"
(მაიაკოვსკი).

ორდენოსანი საქართველოს ფიზკულტურელთა პარადის მონაწილენი, ჯანსაღი, მამაცი და გამძლე ახალგაზრდები, სიხარულისა და ბედნიერების გრძნობით ალსავსე სიმღერებს დააგუგუნებენ. მათ მხნე ხელში ჩვენ ვიხილავთ ჩვენი ქვეყნის უძლეველობას, მის ბრწყინვალე აწმყოსა და მომავალს.

მხურვალე სალამი მზიური საქართველოს ფიზკულტურულ ახალგაზრდობას, რომელიც წარმატებით ეუფლება მეცნიერებას, თავდადებით შრომობს და ყოველმხრივ ემზადება გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის დასაცავად!

გაუმარჯოს ლენინურ-სტალინურ კომკავშირს — საბჭოთა ახალგაზრდობის მოწინავე რაზმს!

გაუმარჯოს ფიზკულტურელთა დიდ მეგობარს, ხალხთა გენიალურ ბელადს ამხანაგ **სტალინს!**

## სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის პავილიონებსა და ღია ნაკვეთებზე ფართოდ არის პოპულარიზებული ხალხის ინიციატივის დიადი ძალა. უზბეკეთისა და ტაჯიკეთის სს რესპუბლიკების პავილიონებში ნაჩვენებია სახალხო მოძრაობა წყლისათვის, რამაც უდაბნოები ბაღნარებად აქცია. ვორონეჟის, კურსკის, ტამბოვისა და პენზის ოლქების პავილიონები აგვიწერენ ტალოვის რაიონის კოლმეურნეობა „ჟელეზნოდოროჟნიკს", რომლის ინიციატივითაც ჩვენს ქვეყანაში მარტო უკანასკნელი წლის განმავლობაში აგებულია 16 ათასამდე ახალი წყალსატევი, შეკეთებულია 23 ათასზე მეტი ძველი კაშხალი და წყალსატევი. ბელორუსიის სსრ პავილიონში მთელი განყოფილება უკავია ლუბანსკის რაიონის იმ კოლმეურნეობათა ექსპონატებს, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს მოძრაობას ჭაობების ამოსაშრობად. (საკდესი).

## ღირსშესანიშნავი წლისთავის წინ

ჩრდილოეთ ბუკოვინის მშრომელები ემზადებიან, რათა აღნიშნონ რუმინელი ბოიარინების უღლისაგან განთავისუფლების პირველი წლისთავი, რაც ივნისში სრულდება. საწარმოებში, დაწესებულებებში, სკოლებსა და უნივერსიტეტებში სპეციალური გამოფენები ეწყობა. ჩერნოვიცის ხალხური შემოქმედების საოლქო სახლი წლისთავისათვის გამოუშვებს ჩრდილოეთ ბუკოვინის ძველი და თანამედროვე ფოლკლორის კრებულს. ჩერნოვიცის № 6 ტრიკოტაჟ-ხელთათმანის ფაბრიკის კოლექტივმა ჩრდილოეთ ბუკოვინის ყველა მშრომელს მოუწოდა გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება. მეტრიკოტაჟენი ვალდებულებას კისრულობენ ღირსშესანიშნავი წლისთავისათვის მეორე კვარტალის გეგმა 125 პროცენტით შეასრულონ. (საკდესი).

## სრულიად-საკავშირო საჭადრაკო-სამაშო შეჯიბრება

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა სრულიად-საკავშირო კომიტეტმა დაამტკიცა მიმდინარე წელს სრულიად - საკავშირო ჭადრაკო-სამაშო შეჯიბრების ჩატარების წესი.

ივნისში დონის როსტოვში დაიწყება ნახევარსაფინალო შეხვედრები საბჭოთა კავშირის პირველობისათვის ჭადრაკსა და შაშში. ნახევარსაფინალო ტურნირებში მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის უძლიერესი მაესტროები. აგვისტოში ფინალები მოეწყობა მოსკოვში. ერთდროულად მოსკოვში მოეწყობა მაესტროობის კანდიდატთა ტურნირები. (საკდესი).

## თათბირი რაიკომში აღრიცხვისა და ანგარიშგების საკითხებზე

სოფ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის სახელობის რაიკომმა 13 მაისს მოიწვია თათბირი აღრიცხვისა და ანგარიშგების საკითხებზე. მას ესწრებოდნენ რაიონის საწარმოთა დირექტორები, საწარმოო არტელების გამგეობათა თავმჯდომარეები, პარტბიუროებისა და პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები, მთავარი ბუხჰალტრები და სხვ.— სულ 100 კაცზე მეტი.

რაიონის საწარმოებში აღრიცხვისა და ანგარიშგების მდგომარეობის შესახებ თათბირზე მოხსენებით გამოვიდა სოფ. კ. პ. (ბ) თბილისის რაიკომის კიროვის სახელობის რაიკომის მდივანი ამხ. მ. წერეთელი. მან აღნიშნა, რომ XVIII პარტკონფერენციამდე საწარმოებში აღრიცხვისა და ანგარიშგების საქმე ჩამორჩენილია. ერთთვიურ, კვარტალურ და წლიურ ბალანსებს დიდი დაგვიანებით აგზავნიდნენ. მიმდინარე წლის პირველი კვარტალის დასრულებასთანაც ისეთი მდგომარეობა არ არის არცერთ საწარმოში, გარდა ქიმკომბინატისა, რომელმაც გასული წლის ბალანსი 3 თვის დაგვიანებით შეადგინა. აქ ასევე დაგვიანებით შეადგინეს პირველი კვარტალის ბალანსი. კონფერენციის შემდეგ რაიონის თითქმის ყველა საწარმოში დაუსტატეს მოწყობილობის აღრიცხვა.

შემდეგ მოახსენებენ ვრცლად შეეხო აღრიცხვისა და ანგარიშგების დარღვის ნაკლოვანებებს. რაიონის თითქმის არცერთ საწარმოში არ მოიპოვება მოწყობილობის სწორად შედგენილი პასპორტები. აქვთ ძველი პასპორტები, რომლებშიც აღნიშნული არ არის კაპიტალური და მიმდინარე შეკეთება. მოწყობილობის ნაწილი ბუნებაში ისე უუნდა იყოს შედგენილი, რომ იძლეოდეს მისი ტექნიკური მდგომარეობის სრულ სურათს.

მთელ რიგ საწარმოებში მთავარი ბუხჰალტერები დროულად არ აძლევენან სიგნალს ნედლეულის გადაბარჯვის შესახებ. არტელ „მკერავთა კომუნის“ ბუხჰალტერია გამოშვებული პროდუქციისა და დახარჯული ნედლი მასალის რაოდენობის მხოლოდ თვის დასასრულს არკვევს და არა ყოველდღიურად. ამ მხრივ კარგად შეშობენ სტალინის სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის მთავარი ბუხჰალტერი ამხ. დავიდოვსკი, ბამბის ფაბრიკის მთავარი ბუხჰალტერი ამხ. გალუსტოვი და ხიფსართავი ფაბრიკის მთავარი ბუხჰალტერი ამხ. ბაბაჯანოვი.

ზოგიერთ საწარმოს ბალანსზე უნის დებიტორული დოქალიანება, მაგალითად, არტელ „სიმტკიცეს“ — 86 ათასი მანეთი. ადგილი აქვს შეთავსებებს, საქვეანგარიშო თანხების არასწორად გაცემას, ხელფასის ფოსდის გადაბარჯვას და სხვ. ამ საკმაო მთავარი ბუხჰალტრებიც არიან დამნაშავენი.

რაიონის პარტორგანიზაციები ჯერ კიდევ სუსტად ეუფლებიან საწარმოს ეკონომიკის საკითხებს, კერძოდ ბუხჰალტერიის საკითხებს. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ რაიონის რომელიმე პირველადი პარტორგანიზაციის კრებას მოესმინა მთავარი ბუხჰალტრის მოხსენება. ე. წ. კონფლიქტურული თათბირები, რომლებზეც მთავარი ბუხჰალტრები გამოდიან ინფორმაციით, ცუდად ტარდება, მათში აქტიურ მონაწილეობას არ იღებენ პარტბიუროებისა და პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები. აღნიშნულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის მიზნით პარტრაიკომმა ამა წლის 15 აპრილიდან პარტიული და სამეურნეო აქტივისთვის მოაწყო კოტს-სემინარი, რომელშიც 110 კაცი მეცადინეობს. „ალენდარული გეგმის მიხედვით ამა წლის 7 თებერვალს აქ მოისმენენ 14 ლექციას წარმოების ეკონომიკის საკითხებზე. პარტრაიკომის ბიუროს განიხილა ქიმკომბინატში, ტყავის № 1 და № 2 ქარხნებში და № 3 სახელოსნო სასწავლებელში აღრიცხვისა და ანგარიშგების მდგომარეობა და გამოიტანა სათანადო დადგენილებები.

თათბირზე გამოსულმა ამხ. ახობაძემ, ნუსუსიანმა, პოლოსოვმა, დავიდოვსკიმ, ცვეტოვმა, ბერიშვილმა და ბადღასარიმა სხვა საკითხებს შორის უმთავრესი ყურადღება მიაქციეს პირველადი აღრიცხვის მდგომარეობას.

ამხ. მ. წერეთელმა საბოლოო სიტყვაში აღნიშნა, რომ პარტრაიკომის ბიუროს განიხილავს ამ თათბირის შედეგებს და მიიღებს სათანადო დადგენილებას, რომელიც დაეგზავნება პარტორგანიზაციებს.

## რაზომ ვერ იღებენ გაზეთებს?

უკანასკნელ ხანებში რედაქციას მოსდის მკითხველთა წერილები რომლებშიც ისინი უჩივიან კავშირგამტლობისა და „სოიუზპეჩატის“ ზოგიერთი გაწყოფილების უხეირო მუშაობას, გაზეთების მიუღებლობას.

რედაქციას არაერთი და ორი ასეთი წერილი გადაუგზავნია ზოგების მისაღებად საფოსტო და „სოიუზპეჩატის“ სათანადო გაწყოფილებებისათვის, მაგრამ მდგომარეობის გამოსწორებას მაინც არა ეშველა რა.

ჩვენი გაზეთის მკითხველი ამხ. თომა წურწუმია (მცხოვრები ქ. თბილისში, ფრანის შესახვ. № 3) თავის წერილში რედაქციისადმი სწერს:

„მე, ისე როგორც ჩემი საბჭოთა ქვეყნის ყველა მოქალაქე, მახარებს ჩვენი ლიდერ ჩვენის ყოველდღიური წარმატებები, მაინტერესებს ფრონტი ბაგეზე ისა, თუ რა ხდება ჩვენი ბეიეის საზღვრების გადიდება, განსაკუთრებით ახლანდელ დამპაულ საერთაშორისო ვითარებაში. ასეთი ახალი ამბები ჩვენ ბაზაში მოაქვს პროსს. მეც გამეწერილი მაქვს „კომუნისტი“, რომელიც ყოველდღიურად მეხმარება არა მარტო ამის გაგებაში, რაც ზემოთ აღვნიშნე, არამედ ჩემს სამსახურებრივ და პარტიულ მოვალეობათა შესრულების საქმეშიც. მაგრამ რაღაც გაუგებარი მიზეზების გამო ამ გაზეთს ვერ ყოველდღე ვიღებ და ეერც ფოსტამოშებით. ვიღებ ხშირად მესამე ან მეოთხე დღეს ერთად. ზოგჯერ „კი“-ითა ნომრის დაკლებითაც. ასე ხდება სისტემატიურად“.

როდესაც ამხ. წურწუმიას ამ საკითხზე დახმარებისათვის მიუმართავს კავშირგამტლობის მეხსომე განყოფილების უფროსისა ამხ. ანანიაშვილისადმი, მას ასეთი პასუხი გუუცია: „რა ვქნა, ძმაო, გაზეთი ყოველდღე არ გამოდის (?!) და საიდან მოგიტანონ? მიზეზი ეს არის, თორემ ჩვენ რომ დამტარებელი ვეყავს, მთელ თბილისში უკეთესს ვერ იპოვნიო“.

## ჩაის კრეფა საბჭოთა მეურნეობებში

საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობებში მიმდინარე წლეს უნდა მოიკრიფოს 14.011 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, აქედან მაისში—3.223 ტონა. 15 მაისისათვის მოკრეფილი იყო 1.017,3 ტონა, რაც ერთთვიური გეგმის 31,6 პროცენტს შეადგენს. ზეადრი გეგმა ამავე რიცხვისათვის საბჭოთა მეურნეობებს შესრულებული ჰქონდათ 7,3 პროცენტით.

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის მაისის გეგმა შესრულებული ჰქონდათ: სალიბაურს—37,3, გონნის—30, ჩაქვს—28,2, ოჩხამურს — 15,9, ნატანებს—70, ლაითურს — 24,5, ნასაკირალს—27,6, წულუკიძეს—51,6, დიდიბყოს—30, ლესიჭინეს—35,7, ნარაზენს — 42,1, ჯოლოჟიანს—34,8, წალენჯიხას 36,1, ახიგვარას—41, ზოქეს — 59,1, აჭარის ჩაის ტექნიკუმს — 66,7 პროცენტი.

მაისის პირველ დეკადაში საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობებმა მოჭრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 45,2 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, მეორე ხუთდღეში — 332.3 ტონა, მესამე ხუთდღეულში 639,8 ტონა.

## ჩაის ფოთლის დამზადება

„სპუტნიკის“ 15 მაისის ცნობებით

| რაიონები | მაისის გეგმა ტონობით | სულ 2 თვის გეგმა ტონობით | 2 თვის შესრულება პროცენტებით | რაიონები | მაისის გეგმა ტონობით | სულ 2 თვის გეგმა ტონობით | 2 თვის შესრულება პროცენტებით |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბათუმი | 489 | 210,3 | 43 | ქუთაისი | 67 | 32,1 | 47,9 |
| ქობულეთი | 2.028,4 | 447,8 | 22,1 | ყაულტები | 187 | 76,4 | 40,9 |
| გალი | 1.063 | 478,2 | 45 | ტყიბული | 194 | 16,1 | 8,3 |
| ოჩამჩირე | 631 | 277,7 | 44 | ცხინვალი | 341 | 121 | 35,5 |
| სოხუმი | 24 | 20,1 | 83,8 | ბაგდათი | 867 | 238 | 27,5 |
| გუდაუთა | 48 | 24,8 | 51,7 | ხიდგიდი | 1.617,8 | 687,6 | 42,5 |
| მახარაძე | 2.838,8 | 460,7 | 16,2 | წალენჯიხა | 554 | 201,5 | 36,4 |
| ნოხალეული | 375 | 92,3 | 24,6 | ზესტაფონი | 538 | 166,7 | 31 |
| ლანჩხუთი | 920 | 237,2 | 25,8 | ხობი | 156 | 55,4 | 35,5 |
| სამტრედია | 84 | 40,2 | 47,9 | სულ | 13 586 | 4.077,5 | 30,1 |
| წულუკიძე | 543 | 193,4 | 35,6 | იყო 15/V-40 წ. | 11.892 | 1 720 | 14,5 |

მაისის პირველ ხუთდღეულში დამზადებულ სულ 181,6 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, მეორე ხუთდღეულში—1 515,4 ტონა. მესამე ხუთდღეულში კი—2.351,9 ტონა. ალბანეთულ ცნობებში ნასაკირალ ის ფაბრიკის მიერ მზარაძის და ნოხალეულ რაიონებიდან მოეკრიფა ფოთლის ოთხ ოჯახის ოჯახის მიერ ტყიბულ, რაიონიდან მიღებული ფოთლის რაოდენობა შეტანილი 10 მაისის მდგომარეობის მიხედვით

# პარტიული ცხოვრება

## XVIII პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა ბოლშევიკური შესრულების ნიშნით

ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნებისათვის მოსამზადებელი მუშაობა ორკონიკიძის (ყოფ. ხარაგოულს) რაიონის პირველად პარტიულ ორგანიზაციებში დროულად გაიშალა. საანგარიშო-საარჩევნო კრებები, რომლებიც რაიონის პირველად პარტიულ ორგანიზაციებში 10 აპრილიდან დაიწყო, მომზადებულად ტარდება. პირველად პარტორგანიზაციის მდივნების საანგარიშო-საარჩევნო კრებების და საანგარიშო მოხსენებების მომზადებაში დიდ დახმარებას უწევენ რაიკომის მდივნები და განყოფილებათა გამგეები.

საანგარიშო-საარჩევნო კრებები ნათლად გვიჩვენებენ პარტიულ პოლიტიკური მუშაობის თვალსაჩინო გაუმჯობესებას, რაც მოპოვებულია საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისა და XVII სრულიად-საკავშირო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის შედეგად.

ბოლშევიკური კრიტიკის ნიშნით ჩატარდა ხუნერის სასოფლო საბჭოს აღმასკომთან არსებული პირველადი პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება.

კამათში გამოსულმა კომუნისტებმა მკაცრად გააკრიტიკეს პარტორგანიზაციის მდივნის ამხ. პარმენ სახვაძის მუშაობა. დიდნაწილ უდარდელობა და მოუქნელი მუშაობა ხელს უშლიდა სასოფლო საბჭოს აღმასკომის, სკოლის, კოოპერატივის და შამპანურ ღვინის ქარხნის საქმიანობაში მთელი წლის მანძილზე სერიოზული ნაკლოვანებების არსებობას, ცალკე მუშაობა შორის ადგილი ჰქონდა არაჯანსაღ განწყობილებას და კინკლაობას. სახვაძე არ იბრძოდა კინკლაობის აღმოსაფხვრელად, პირიქით, თვითონ იყო მისი აქტიური მონაწილე.

კომუნისტებმა ასევე მკაცრად გააკრიტიკეს ჩხერის სოფლიერენო პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. პ. ლურსმანაშვილის მუშაობა. ლურსმანაშვილმა საანგარიშო პერიოდში ვერ უზრუნველყო კოლმეურნეობის გამგეობის მუშობაზე პარტორგანიზაციის მხრივ კონტროლი. ამის შედეგად კოლმეურნეობა მიმდინარე სამუშაოთა გეგმებს, პარტიისა და მთავრობის დავალებებს დროულად ვერ ასრულებდა.

მალალი აქტივობით ჩატარდა მარელისის გრეხილ ავეჯის ფაბრიკის პირველად პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება, რომელსაც დაესწრო 93 კომუნისტი. კამათში მონაწილეობა მიიღო 12 ამხანაგმა. ორტორტრმა მკაცრად გააკრიტიკეს ფაბრიკის დირექტორის, საფაბრიკო კომიტიტის და პარტბიუროს სუსტი მუშობა, რის გამო თაბრიკა წლიბით ვერ ასრულებდა საწარმოო-საფინანსო გეგმებს.

საკანონმდებლო ინიციატივა

## კონკრეტული დახმარება და ხელმძღვანელობა სპეციალოფელებს

თბილისის № 2 ლუფის ქარხნის პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება დანიშნულ დროზე დაიწყო. კრებაზე უყვნა კომუნისტი გამოცხადდა. საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ნ. დუტოვი.

მოხსენება საკმაოდ თვითკრიტიკული და კრიტიკული იყო. ამხ. დუტოვმა კრებას დაწვრილებით მოუთხრო საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ მუშაობაზე, ისაზე, თუ როგორ ანხორციელებდა პარტიული ორგანიზაციაა კონტროლს დირექციის საქმიანობასაზე. მან აღნიშნა, რომ ქარხანამ 1940 საბუარნეო წელი გარდვეკვეთ დაამთავრა. გეგმების შეუსრულებლობა აიხსნებოდა შრომის არასწორი ორგანიზაციით, კომუნისტები ვერ ანხორციელებენენ ავანგარდულ როლს გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში, სუსტად ხელმძღვანელობდნენ სტახანოველებს.

შდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა 1941 წელს. პარტიული ორგანიზაცია სათავეში ჩაუდგა გეგმებისათვის ბრძოლას, ტრგბზე რამდენჯერმე განხილია საწარმოო საკითხი. ამ მხრივ მუშაობა ეფექტიანი გახდა. ამ ბრძოლაში ბევრ ადგილზე ბოლშევიკური ინიციატივა გამოიჩინა ბ. ბ. ბ. ... ... ...

# სიძლიერის, ახალგაზრდობისა და სილამაზის დღესასწაული

მსოფლიო რეკორდსმენი ბადროს ტყორცნაში ნინო დუმბაძე

სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. ეგნატაშვილი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, მაესტრო ვ. გოგლიძე, სპორტის დამსახურებული ოსტატი, ორდენოსანი შ. შავგულიძე, სპორტის ოსტატები, ორდენოსნები — გ. ჯეჯელავა და ბ. პაიჭაძე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. დიაჩკოვი.

სპორტის ოსტატი, ალპინისტი ბექნუ ხერგიანი

**...აღვზარდოთ ჯანსაღი, სიცოცხლით სავსე მუშათა ახალი თაობა, რომელიც შესძლებს სათანადო სიმაღლეზე აიყვანოს საბჭოთა ქვეყნის ძლიერება და მკერდით დაიცვას იგი მტრების თავდასხმისაგან.**

**ი. სტალინი**

**...ფიზკულტურა და სპორტი წარმოადგენს თვალსაჩინო ფაქტორს, ჯანმრთელი, ღონიერი, მარჯვე, მოსაზრებული, გამბედავი, წინააღმდეგობებთან ბრძოლის უნარის მქონე და წინ მტკიცედ მავალი ადამიანის შექმნაში.**

**მ. კალინინი**

## სიმამაცის სკოლა

ასე უწოდებენ ტანვარჯიშულ სპორტს. შესანიშნავი შეფასებაა! ტანმოვარჯიშე არის ჰარმონიული ფიზიკური განვითარების მქონე, მოქნილი და მამაცი ადამიანი. სპორტის ეს მეტად სასარგებლო და რთული სახე ფრიად არის გავრცელებული მზიურ საქართველოში. ამაზე მეტყველებს რეგულარულ სპორტულ მეცადინეობაში ჩაბმული 20.000-მდე ტანმოვარჯიშე.

საქართველომ, რომელსაც ტანმოვარჯიშეთა ქვეყანას უწოდებენ, აღზარდა მთელი რიგი შესანიშნავი ოსტატი-ტანმოვარჯიშენი. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია სპორტის დამსახურებული ოსტატი, ორდენოსანი გ. რცხილაძე, რომელიც 3 წლის განმავლობაში სსრ კავშირის ჩემპიონი იყო; იგი წარმატებით მონაწილეობდა ანტვერპენში საერთაშორისო სპარტაკიადაში. საქართველოს ფიზკულტურელები ამაყობენ ისეთი ტანმოვარჯიშეებით, როგორიც არიან სპორტის დამსახურებული ოსტატი ორდენოსანი ა. ჯორჯაძე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ლ. ყანჩაველი, რომელმაც დიდი შრომა დახარჯა ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარის ნაწილებში ტანმოვარჯიშული სპორტის დანერგვისათვის; საბჭოთა კავშირის ყოფილი ჩემპიონი პ. რომანიშვილი, სსრ კავშირის ჩემპიონი ორძელზე ვარჯიშში გ. ბაბილოძე.

მოწინავე ტანმოვარჯიშეთა რიგებში დგანან სპორტის ოსტატები — ახვლედიანი, ქოიავა, კოგანი, ზაალიშვილი, დოლიძე, მამარდაშვილი, ბალიაშვილი და სხვ. ახალგაზრდა ოსტატები დღითიდღე ამაღლებენ თავიანთ სპორტულ ტექნიკას და ყოველ შეჯიბრებაში მნიშვნელოვან წარმატებას აღწევენ.

საქართველოში ტანვარჯიშული სპორტის კიდევ უფრო ფართოდ გავრცელებისა და პოპულარიზაციისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა კომკავშირელთა მასობრივ ტანვარჯიშულ შეჯიბრებას, რომელშიც საქართველოდან მონაწილეობა მიიღო 251.060 კაცმა. საქართველოს სსრ კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ერთერთი მოწინავე ადგილი მოიპოვეს საკავშირო მასშტაბით.

ახლა მთავარია ისე წარვმართოთ მუშაობა, რომ დამწყებ ტანმოვარჯიშეთა ეს უზარმაზარი არმია ჩავაბათ რეგულარულ მეცადინეობაში და მოვამზადოთ ყოველმხრივ ფიზიკურად გამოწრთობილი საბჭოთა ახალგაზრდობა.

**გ. ეგნატაშვილი,**
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

## ალპინიზმი საქართველოში

1923 წლის 28 აგვისტოსა და 3 სექტემბერს მყინვარწვერი (5.043 მეტრი) დაიპყრო ორმა საბჭოთა ალპინისტურმა ექსპედიციამ. პირველ საბჭოთა ექსპედიციას მყინვარწვერზე ხელმძღვანელობდა პროფ. გ. ნიკოლაძე, ხოლო მეორეს — პროფ. ა. დიდებულიძე. ეს ასვლები ალპინიზმის ისტორიაში ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. „აღსრულდა მრავალი წლის ოცნება... გვაქვს რითაც ვიამაყოთ, მწვერვალზე 18 ვართ"... — სწერდა პირველი ასვლის შესახებ პროფ. გ. ნიკოლაძე. პირველ ექსპედიციაში შედიოდა 13 კაცი და 5 ქალი. ასეთი მრავალრიცხოვანი ექსპედიცია ჯერ არასდროს არ ენახა მყინვარწვერს.

ამ ორმა ექსპედიციამ საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა ალპინიზმს არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირშიც.

პირველი ქართველი მამაცი და გულადი ალპინისტები იყვნენ ტოპოგრაფი გ. ქავთარაძე, ალპინისტი-მეგზურები გიო ლობჟანიძე, მოხევეები ახია და კოტე ფიცხელაურები, ინგუშები — ძმები იანი, აზნი და ისაკ ბეზურტანოვები, სვანი მურატბი კიბოლანი და მრავალი სხვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ორი გამოცდილი, გამბედავი და დაუღალავი მეგზური-ალპინისტი გახა წიკლაური და იაგორ კაზალიკაშვილი. მათ დიდი დამსახურება მიუძღვით საბჭოთა ალპინიზმის წინაშე.

1925 წლის 12 აგვისტოს ქართველმა ალპინისტებმა დასძაბნეს ამაყი იალბუზი (5.593 მეტრი), რომლის მწვერვალზე პროფ. გ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით ავიდა 19 ალპინისტი. ქართველი ალპინისტების ამ დიდმა გამარჯვებამ ევროპაშიც კი ჰპოვა გამოძახილი.

1926 წელს ალპინისტების რიგებს შემატა შესანიშნავი ალპინისტი სიმონ ჯაფარიძე, რომელმაც ალპინიზმის განვითარებასა და მთების მეცნიერულ შესწავლას ახალი მძლავრი ბიძგი მისცა. მისი ხელმძღვანელობით მოეწყო მთელი რიგი ექსპედიციები მყინვარწვერზე, იალბუზზე, ანდირჩიზე, კურმიჩიზე და სხვ.

ამ წლებში ალპინისტურ მუშაობაში ჩაებნენ და ნაყოფიერად მუშაობდნენ საუკეთესო მთასვლელები ალექსანდრა ჯაფარიძე, შ. მიქელაძე, დ. მიქელაძე გ. გიორგაძე, ლ. მარუაშვილი, ს. ასლანიშვილი, დ. წერეთელი, ს. გვალია, ქ. ჯავრიშვილი და სხვ. ქართველი ალპინისტების სპორტული ტექნიკის ზრდის შედეგად დაპყრობილ იქნა უძნელესი მწვერვალები: უშბა, გესტოლა, კატინტაუ, შოთა რუსთაველის სახელობის მწვერვალი, ხოხრა-უშბა, ლაკუცა-ლარტყალი, ყურო და მრავალი სხვა.

1930 წელმა დიდი გამარჯვება მოუტანა ქართველ ალპინისტებს. სიმონ ჯაფარიძის და-ძმამ ალექსანდრა და ალიოშა ჯაფარიძეებმა ორჯერ მიაღწიეს თეთნულდის მწვერვალს, რომელიც მანამდე მიუვალ მწვერვალად ითვლებოდა. 1934 წელს კი მამაცური შეტევით აღებულ იქნა მიუკარებელი უშბა.

შემდეგ წლებში ფართოდ ინერგება მასობრივი ალპინიზმი. მოეწყო სამხედრო სკოლის კურსანტებისა და ფრუნზეს სახელობის დივიზიის მებრძოლთა (325 კაცი) ალპინიადა მყინვარწვერზე, რომლის მწვერვალიდან პირველად დაიქუხა წითელ მებრძოლთა მიერ ატანილმა ზარბაზანმა. აგრეთვე აღსანიშნავია სვანების ალპინიადა თეთნულდზე, თუშებისა — ქომითოს მთაზე და სხვადასხვა მთიანი რაიონების მცხოვრებთა ალპინიადა ჯიმარაიხოხზე და სხვ.

საქართველოს ერთერთი საუკეთესო მეთხილამურე ითერ მიქაბერიძე
ფოტო შმერლინგისა.

1940 წელს ქართველმა ალპინისტებმა (ალექსანდრა ჯაფარიძემ, ბექნუ და გაბრიელ ხერგიანებმა, გოჯე ზურაბიანი და ლევან სუჯაშვილი) სპორტის დამსახურებული ოსტატის ალიოშა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით ჩაატარეს ლ. ბერიას სახელობის ტრავერსი, რომელიც აღიარებულია უმაგალითო ტრავერსად და საერთაშორისო კლასის მიღწევად.

უფროდაუფრო პოპულარული ხდება ალპინისტური სპორტი საბჭოთა საქართველოში. აღიზარდნენ ახალგაზრდა მამაცი ალპინისტები — ო. გიგინეიშვილი, გ. გიორგობიანი, ა. შალამბერიძე, გ. მელია, ქ. ონიანი, პ. მარჩენკო, გ. რაიზერი, ა. ღუდუშაური, ჭ. ჩართოლიანი გ. გვარლიანი, სუჯაშვილი და სხვ. ფართო გამოძახილი ჰპოვა თბილისის სტალინის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტთა მოწოდებამ მებრძოლ-ალპინისტთა რაზმების შექმნის შესახებ. ათასობით ახალგაზრდები ეუფლებიან ალპინიზმის ტექნიკას და საჭიროების შემთხვევაში მებრძოლ-ალპინისტთა რაზმები მთების ორწოხებში რისხვად დაატყდებიან სოციალისტური სამშობლოს მტრებს.

**ი. მარრი,**
საქართველოს სსრ ალპინისტური კლუბის პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

## საყვარელი სპორტი

ჩვენში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მიექცა ფეხბურთს სათანადო ყურადღება. აშენებულ იქნა შესანიშნავი სტადიონები და მოედნები, ფეხბურთელთა ტექნიკურ-ტაქტიკურ მომზადებას ხელმძღვანელობენ ცნობილი და გამოცდილი მწრთვნელები, რეგულარულად ეწყობა ფეხბურთელთა სასწავლო-საწრთვნელი შეკრებები, ტარდება მსაჯთა მოსამზადებელი სემინარები, იბეჭდება ფეხბურთის სახელმძღვანელოები და სხვ. ყოველივე ამის შედეგად საქართველოს ფეხბურთელებმა მნიშვნელოვნად აამაღლეს თავიანთი ტექნიკური მომზადების დონე და ჩადგნენ სსრ კავშირის ოსტატ ფეხბურთელთა მოწინავე რიგებში. ჩვენი გუნდები მთელ რიგ საკავშირო მნიშვნელობის შეჯიბრებებში წარმატებით მონაწილეობენ და საპატიო ადგილებს იკავებენ.

სსრ კავშირის ერთერთ უძლიერეს გუნდად ითვლება თბილისის „დინამო", რომელიც დაარსებულ იქნა 1925 წელს ამხანაგ ლ. პ. ბერიას ინიციატივით. განსაკუთრებულია „დინამოს" გუნდის როლი საქართველოში ფეხბურთის სპორტის პოპულარიზაციისა და ფართოდ გავრცელების საქმეში. ჩვენი გუნდების დიდმა სპორტულმა წარმატებებმა ფეხბურთს სიყვარული მოუპოვეს მშრომელთა ფართო მასებში. წინათ ფეხბურთის მატჩებს 3-4 ათასზე მეტი მაყურებელი არ ესწრებოდა, ამ უკანასკნელ წლებში კი ყოველ საინტერესო მატჩს 20-30 ათასი მაყურებელი ესწრება.

ფეხბურთი საქართველოში მასობრივი სპორტია. არასრული ცნობით საქართველოში 800 გუნდია, მათში გაერთიანებულია 10.000 ორგანიზებული ფეხბურთელი. სწორედ ამან მოგვცა საშუალება, რომ თბილისის, ფოთის, ბათუმისა და ქუთაისის ახალგაზრდა ფეხბურთელთა შორის ამოგვერჩია საუკეთესო ფეხბურთელები და შეგვედგინა „დინამოს" ძლიერი გუნდი, რომელმაც შექმნა თამაშის საკუთარი სტილი. ჩვენმა გუნდმა მიმდინარე სეზონიც წარმატებით დაიწყო და 3 თამაშიდან სამივე მოიგო „მშრალი" ანგარიშით.

საქართველოს ფეხბურთელებმა თავის რიგებში აღზარდეს ცნობილი ოსტატები ორდენოსნები ბ. პაიჭაძე და გ. ჯეჯელავა, შესანიშნავი ფეხბურთელები — სპორტის ოსტატები მ. ბერძენიშვილი, კიკნაძე, ფროლოვი, ტყებუჩავა, გაგუა, ჯორბენაძე, ბერეჟნოი და სხვ., რომელთა მაგალითზე იზრდებიან ათასობით ახალგაზრდა ფეხბურთელები.

საჭიროების შემთხვევაში საქართველოს ფეხბურთელები სახელოვანი წითელი არმიის რიგებში გმირულად იბრძოლებენ მშრომელთა ინტერესების დასაცავად.

**შ. შავგულიძე,**
სპორტის დამსახურებული ოსტატი, ორდენოსანი.

თბილისის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ტანმოვარჯიშენი აკეთებენ „ხელყირას" ორძელზე.
ფოტო შმერლინგისა.

## საბჭოთა სკოლებში იზრდება ჯანსაღი თაობა

ჩვენი ქვეყნის სიცოცხლით აღსავსე და ბედნიერ ბავშვებს გატაცებით უყვართ ფიზკულტურა და სპორტი. სტადიონები, მოედნები, წყალსადგურები, სასპორტო დარბაზები მუდამ სავსეა ნორჩი ფიზკულტურელებით, — ისინი მონდომებით ეუფლებიან სპორტის სხვადასხვა სახეებს.

საბჭოთა სკოლაში ნორჩი თაობის ფიზიკური აღზრდა კომუნისტური აღზრდის განუყოფელი ნაწილია და მას უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. სავალდებულო სამხედრო სამსახურის ახალი კანონის მიღების შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა სკოლის როლი მოსწავლეთა ფიზიკური მომზადების საქმეში. საშუალო სკოლის დამთავრებისას ახალგაზრდა საბჭოთა მოქალაქე მიდის სახელოვანი წითელი არმიის რიგებში. ამიტომ სკოლა ვალდებულია მოსწავლეთა ფიზიკური და სამხედრო მომზადება ისე წარმართოს, რომ შესძლოს მოამზადოს ფიზიკურად და მორალურად ძლიერი ახალგაზრდა საბჭოთა პატრიოტები.

ამ დიდი და ფრიად პასუხსაგები ამოცანის წარმატებით გადაწყვეტისათვის საქართველოს სკოლები მონდომებით და დაუღალავად მუშაობენ. მიღწევებიც მნიშვნელოვანი გვაქვს.

იმშთ ნიშანზე ნორმები ჩაბარებული აქვს 87.231 მოსწავლეს. ხალისიანად და ნაყოფიერად ტარდება სავალდებულო ფიზკულტურული მეცადინეობა (ფიზკულტურის გაკვეთილები სკოლაში). 1.125 სასკოლო სპორტულ კოლექტივში ჩაბმულია 77.186 ნორჩი ფიზკულტურელი. დიდ ინტერესს იწვევენ მოსწავლეთა შორის მასობრივი სპორტული და სამხედრო-ფიზკულტურული შეჯიბრებანი — კროსები, გასამხედროებული ლაშქრობანი, სამხედრო თამაშობანი და სხვ. 1940 და 1941 წელს ზემოთაღნიშნულ მასობრივ სპორტულ და სამხედრო-ფიზკულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 162 ათასზე მეტმა მოსწავლემ.

საქართველოში არის 32 ბავშვთა სასპორტო სკოლა, რომელთა სხვადასხვა სექციებში გაერთიანებულია 8.401 ბავშვი. მათ მეცადინეობას ხელმძღვანელობენ ცნობილი ოსტატები და პედაგოგები. საბჭოთა კავშირში ამ მეტად მნიშვნელოვანი და სასარგებლო საქმის ინიციატორია ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია. ჯერ კიდევ 1935-1936 წლებში მან საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის წინაშე დასახა სასკოლო ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესების ფართო პროგრამა.

ჩვენმა ნორჩმა სპორტსმენებმა უკვე მოიპოვეს საკავშირო თასები სროლაში, ფეხბურთსა და ჩოგბურთში. 1939 და 1940 წლებში მოწინავე სპორტსმენმა ბავშვებმა დაამყარეს 19 საკავშირო და 119 რესპუბლიკური რეკორდი სპორტის სხვადასხვა სახეში. თბილისის მე-44 სკოლამ პირველი ადგილი მოიპოვა სრულიად-საკავშირო მე-7 ქიმიურ შეჯიბრებაში. სკოლის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის მიზნით ამხ. ლ. პ. ბერიას ინიციატივით საქართველოში ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტთან და ბათუმისა და თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტებთან არსებობს ფიზკულტურის ფაკულტეტები, რომლებიც ამზადებენ ფიზკულტურის მასწავლებლებს სპეციალურად სკოლებისათვის.

ორდენოსანი საქართველოს სკოლები არ დაკმაყოფილდებიან ამ მიღწევებით, რადგან გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. ჩვენ ყოველივე ღონეს ვიხმართ, რომ ცხოვრებაში გავატაროთ ნორჩი თაობის დიდი მომავლის საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინის მითითებანი მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდის შესახებ.

საქართველოს სკოლებში კულტურული და ჯანსაღი ახალგაზრდები იზრდებიან. ისინი მონდომებით ეუფლებიან მეცნიერებას და ემზადებიან დედა-სამშობლოს დასაცავად.

**გ. მერკვილაძე**
საქართველოს სსრ განსახკომის ფიზიკური აღზრდის ინსპექციის უფროსი.

## კოლმეურნე ცხენოსნები

სპორტის ხალხურ-ნაციონალურ სახეებს — ჯირითს, თარჩიას, მოქნევას, ყაბახს, მარულას — საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს. ცხენოსნობის ყველა ეს სახე მოითხოვს განსაკუთრებულ სიმამაცესა და მოქნილობას და ამავე დროს მათ დიდი სამხედრო-გამოყენებითი მნიშვნელობა აქვთ.

ამჟამად სპორტის ხალხურ-ნაციონალური სახეები ღრმად ინერგება ორდენოსანი საქართველოს რაიონებში. კოლმეურნე ცხენოსნების სასპორტო დღესასწაულები (ქუთაისში, ცხაკაიაში, ქობულეთში, სტალინირში და სხვ.) ათასობით მონაწილეს იზიდავს და დიდ სააგიტაციო როლს თამაშობს.

საქართველოს კოლმეურნეობებში სპორტის ხალხურ-ნაციონალური სახეების და კერძოდ ცხენოსნური სპორტის პოპულარიზაციასა და დანერგვას ხელმძღვანელობს საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტი. ეწყობა საცხენოსნო სპორტის ინსტრუქტორთა სპეციალური მომზადება, გამოიცა მთელი რიგი წიგნაკები ცხენოსნობის შესახებ და სხვ.

განსაკუთრებით ნაყოფიერი მუშაობა გაიშალა 1940 წელს. ახალი საცხენოსნო სექციები ჩამოყალიბდა ბათუმის, ქობულეთის, მახარაძის, ჩაქვის, ლანჩხუთის, სამხრეთ-ოსეთის, გეგეჭკორის, სამტრედიის, წულუკიძისა და სხვა რაიონების სოფლებსა და კოლმეურნეობებში. ამჟამად საქართველოში კოლმეურნე-ცხენოსნების რიცხვი 3.000 კაცს აღემატება. ცნობილი ცხენოსნები ცოლ-ქმარი ივანიძეები, ქლენტი, მჭედლიშვილი, ლაკირბაია, ახბა, თუნთ-ოღლი და სხვები ხალხური ცხენოსნური სპორტის ოსტატები არიან და თავიანთ მდიდარ გამოცდილებას უზიარებენ ახალგაზრდებს — ზრდიან ცხენოსანთა ახალ კადრებს.

გასულ წელს დიდი ინტერესი გამოიწვია და მნიშვნელოვანი წარმატებით დამთავრდა საუკეთესო ცხენოსანთა რესპუბლიკური შეჯიბრება ლ. ბერიას სახელობის ჯილდოს მოსაპოვებლად. ეს საპატიო ჯილდო დამსახურებულად მოიპოვეს აფხაზეთის ცხენოსნებმა.

ცხენოსნურ-სპორტული შეჯიბრებები კოლმეურნეებში ნერგავენ სამხედრო-გამოყენებითს ჩვევებს, როგორიც არის მაგალითად ცხენიდან ხელყუმბარის ტყორცნა, ხმლის ხმარება, ცხენის საბრძოლო მართვა, დაბრკოლებათა დაძლევა და სხვ.

აფხაზეთის, ქუთაისის და ზუგდიდის რაიონების კოლმეურნე ცხენოსნებმა ჩამოაყალიბეს ცხენოსანთა რაზმები, რომლებიც რეგულარული წრთვნით ეუფლებიან სამხედრო ტექნიკას და ემზადებიან სოციალისტური სამშობლოს თავდაცვისათვის. ასევე მონდომებით ეუფლებიან ცხენოსნობას სხვა რაიონებშიც.

მშვიდობიანობის დროს კოლმეურნე ცხენოსანთა მიერ მიღებული სპორტული გამოცდილება ომის დროს მრისხანე ძალად იქცევა. ბედნიერი საბჭოთა ხალხის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს კოლმეურნე ცხენოსნები სახელოვანი წითელი კავალერიის რიგებში ჩადგებიან და მამაცურად იბრძოლებენ.

**ი. კიზირია**

ვოროშილოველი ცხენოსანი ჯულიეტა ჯანბერიძე (ჩაქვი)
ფოტო გ. ლინგისა.

**თ. სხირტლაძე**
საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე.

## საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაცია

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გახდა შესაძლებელი მასობრივი ფიზკულტურული ორგანიზაციების შექმნა, რომლებიც მშრომელთა ფართო მასებში ღრმად ნერგავენ ფიზკულტურასა და სპორტს და ამზადებენ მათ შრომისა და სოციალისტური სამშობლოს თავდაცვისათვის.

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობით, უდიდესი დახმარებითა და ზრუნვით ორდენოსანი საქართველოს ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა დიდ გამარჯვებებს მიაღწიეს. იმშთ ნიშნოსანთა მძლავრი არმიის რიგებში ამჟამად 238.769 კაცი ირიცხება. ნორმები იმშთ ნიშანზე ჩააბარა 87.231 მოსწავლემ. ჩვენ ფიზკულტურელთა რიგებს ამშვენებს ყოველმხრივი ფიზიკური მომზადების მქონე მშთ მეორე საფეხურის 4.560 ნიშნოსანი. 3.654 ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივში რეგულარულად მეცადინეობს 165.000 კაცი.

აგრეთვე ღრმად ინერგება ფიზკულტურა და სპორტი სოფლად. კოლექტიური შრომის ენტუზიასტები გულმოდგინედ ეუფლებიან სასპორტო ტექნიკას. 1482 საკოლმეურნეო ფიზკულტურულ კოლექტივში ჩაბმულია 42.430 კოლმეურნე. 1940 წელს სოფლად ფიზკულტურული მუშაობის საუკეთესოდ დაყენებისათვის საქართველოს ფიზკულტურულმა ორგანიზაციამ პირველი ადგილი მოიპოვა საბჭოთა კავშირში და დაჯილდოებულ იქნა გარდამავალი წითელი დროშით.

დიდი ყურადღება ექცეოდა და ექცევა ფიზკულტურულ მუშაკთა კადრების მომზადებას. ამჟამად მშრომელთა ფიზიკურ აღზრდასა და მომზადებას ემსახურება სპეციალური ფიზკულტურული განათლების მქონე 1.456 მუშაკი.

შესანიშნავად მომზადებულ ფიზკულტურულ კადრებს გვაძლევს თბილისის ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი, თბილისის ლ. ბერიას სახელობის ფიზკულტურის ტექნიკუმი და თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის პედინსტიტუტების ფიზკულტურული ფაკულტეტები.

ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას ეწევა საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. მის მიერ დამუშავებული და გამოცემული მეცნიერული, მეთოდური და პრაქტიკული ხასიათის მასალები დიდად ეხმარება ფიზკულტურელებს ყოველდღიურ მუშაობაში. საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტმა აქტიური შემოქმედებითი მონაწილეობა მიიღო წითელი არმიის სპეციალური წრთვნის მეთოდიკის შემუშავებაში და თავდაცვის სახალხო კომისარიატის მიერ იგი დაჯილდოებულ იქნა სიგელით.

საქართველოს ფიზკულტურელებს მომსახურებას უწევს 2.000-ზე მეტი სხვადასხვა სასპორტო ნაგებობა, რომელთა შორის არის სსრ კავშირის ერთერთი საუკეთესო სასპორტო ნაგებობა — თბილისის ლ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონი.

მეცნიერულად და პრაქტიკულად დამტკიცებულია ფიზიკური კულტურის განსაკუთრებული მნიშვნელობა ავადმყოფთა ჯანმრთელობის სწრაფი აღდგენისათვის. ამიტომ ჩვენს აგარაკებზე, დასასვენებელ სახლებში, სანატორიუმებსა და სხვა სამკურნალო დაწესებულებებში ფართოდ და წარმატებით იყენებენ ეგრეთწოდებულ სამკურნალო ფიზკულტურას.

მასობრივი გახდა გამძლე, მამაცი და გულადი ადამიანთა სპორტი — ალპინიზმი. 2000-ზე მეტი ალპინისტის მკერდს ამშვენებს „სსრ კავშირის ალპინისტის" პირველი და მეორე საფეხურის ნიშნები. სოფლად დიდი სიყვარულით სარგებლობს სპორტის ხალხურ-ნაციონალური სახეები—ჯირითი, ლელო, ქართული ჭიდაობა, მარულა და სხვ.

მასობრივ ფიზკულტურულ ღონისძიებებში (კროსები, ხელყუმბარის ტყორცნა, ხელჩართული ბრძოლა, სამხედრო-ფიზკულტურული ლაშქრობანი, გადასვლები და სხვ.) ასეულ ათასობით ფიზკულტურელები მონაწილეობენ და იწრთობიან.

ორდენოსანი საქართველოს ფიზკულტურელები რეგულარულად, მონდომებით და დაუღალავად იბრძვიან მაღალი სპორტული ტექნიკის დაუფლებისათვის.

მათ მიერ დამსახურებულად მოპოვებულია საკავშირო მნიშვნელობის 11 თასი. საყოველთაოდ ცნობილი არიან ჩვენი საუკეთესო ოსტატი სპორტსმენები — სპორტის დამსახურებული ოსტატი, ორდენოსანი რცხილაძე, სპორტის დამსახურებული ოსტატი და დამსახურებული პედაგოგი — გ. ეგნატაშვილი; სპორტის დამსახურებული ოსტატი ლ. ყანჩაველი, სპორტის ოსტატები ტანმოვარჯიშენი — რომანიშვილი, ბაბილოძე, თინა ქოიავა, ზაალიშვილი, კობონიძე; მეთხილამურე ფანჯაკიძე; მსოფლიო რეკორდსმენები — ნინო დუმბაძე და სევრიუკოვა; სპორტის დამსახურებული ოსტატები — ვ. და ბ. დიაჩკოვები, ორდენოსანი ელ. გოკიელი, მძლეოსანი, საკავშირო რეკორდსმენი ათანელოვი; შტანგისტები — მსოფლიო რეკორდსმენი კასიანიკი, მიღწევოსნები — კალმახელიძე, ქლენტი; მოკრივენი — სპორტის დამსახურებული ოსტატი გოლდშტეინი, სსრ კავშირის ჩემპიონი ვართანოვი, ნოვოსარდოვი, გორგასლიძე; მოჭიდავენი — სსრ კავშირის ჩემპიონები — მეკოკიშვილი და ნოზაძე, მაჩკალიანი, კუხიანიძე; სსრ კავშირის ჩემპიონი ველოსიპედისტი ლეჟავა, მიღწევოსნები — ხაზურზანია და სტეპანოვი, სპორტის დამსახურებული ოსტატი მოჭადრაკე ვ. გოგლიძე, მიღწევოსანი ა. ებრალიძე; ფეხბურთელები — სპორტის დამსახურებული ოსტატი, ორდენოსანი შავგულიძე, ორდენოსნები პაიჭაძე და ჯეჯელავა, ფროლოვი, ბერძენიშვილი, ბერეჟნოი; ალპინისტები— სპორტის დამსახურებული ოსტატი ალიოშა ჯაფარიძე, სპორტის ოსტატები ალექსანდრა ჯაფარიძე, გვალია, წერეთელი, ძმები ხერგიანები და მრავალი სხვა.

საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციებისა და სპორტსმენების ეს წარმატებები განუყრელადაა დაკავშირებული ქართველი ხალხის საამაყო შვილის ლ. პ. ბერიას სახელთან. მისი დიდი მზრუნველობით და ყურადღებით საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციები საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის მოწინავე რიგებში ჩადგნენ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი, სახკომსაბჭო და საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციები ყოველდღიურ მზრუნველობას უწევენ ჩვენი ორდენოსანი რესპუბლიკის მშრომელთა ფიზიკური აღზრდის საქმეს.

მიღწევები მნიშვნელოვანია, მაგრამ გაცილებით მეტი უნდა გავაკეთოთ მომავალში, ვინაიდან ჩვენი პარტიისა და მთავრობის, პირადად დიდი სტალინის მიერ ყველა პირობა გვაქვს შექმნილი წარმატებით მუშაობისათვის.

## ინგლისის ღამის ავიაგამანადგურებელთა მოქმედება

**ლონდონი,** 15 მაისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, შინაგან საქმეთა და მინაგანი უშიშროების მინისტრმა მორისონმა გუშინ ლონდონში წარმოთქმული სიტყვის დროს განაცხადა: ინგლისის ღამის ავიაგამანადგურებლებმა საერთოდ წარმატებებს მიაღწიეს, განსაკუთრებით თავრიანი ღამის ოპერაციების დროს; მაგრამ არ შეიძლება მათს შემდგომს მოქმედებაში ძალიან ძალზე სწრაფე წარმატებებს მოველოდეთ.

მორისონმა განაცხადა აგრეთვე, რომ ინგლისში ღამის ავიაგამანადგ�ურებელთა პროექტირებისა და შენებლობის საქმეში უკანასკნელი 10 თვის მანძილზე უფრო მეტი გაკეთდა, ვიდრე 10 წლის განმავლობაში ომამდე.

## ინგლისის ახლო აღმოსავლეთის საკავშირო ძალთა საარდლობის კომუნიკე

**ლონდონი,** 15 მაისი (საკდესი). რეიტერის საააგენტოს მიერ ყოირიდან გადმოცემული ინგლისის ახლო აღმოსავლეთის საპატერო ძალთა საარდლობის კომუნიკეში ნათქვამია, რომ 12 მაისს, ღამით, ინგლისის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა იტალიის აეროდრომს კატანიაში (ესტეული როდოსი), სადაც ბეეგან ძლიერი აფეთქება მოხდა; იმავ ღამეს მტრის თვითმფრინავებმა უშედეგოდ დაუშინეს ყუმბარა სუდის ნავსაყუდელს კრეტაზე. გარდა ამისა, მტრის თვითმფრინავები თავს დაესხნენ მალტას, სადაც დაზიანებული 10 სახლი, მოკლულია 1 კაცი და დაჭრილია 11.

ერაყში ინგლისის ავიაციამ 13 მაისს ეერიში მიიტანა ამარის აეროპორტზე (დღინარე ტიგროსზე, 240 კილომეტრზე სამხრეთის აეროდან). ყუმბარები პირდაპირ მოხვდა ნაგებობებში (ქერეფლის ჩრდილოეთ - აღმოსავლეთით), სადაც ხანძარი გაჩნდა, რაშიდის ნავთსაცავი და მტრის ავტოტრანსპორტი ერაყის სხვადასხვა პუნქტში.

ბრისნიაში 12 მაისს ინგლისის ავიაციამ ყუმბარა და ტყვიამფრქვევი დაუშინა ამბა-ალაგის ფორტს და მტრის პოზიციებს მის გარშემო. თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს აგრეთვე შაშამანის მახლობლად ტყვი თავშეფარებულ ჯარს და სამხედრო ბანაკს ამავე რაიონში. დეგოლის ავიაციის 3 თვითმფრინავმა წარმატებით დაუშინა ყუმბარა და ტყვიამფრქვევი გონდარის აეროდრომს.

12 მაისს, ღამით, თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს მტრის გემთა ქარავანს ხმელთაშუა ზღვაში. ყუმბარები პირდაპირ მოხვდა საეს ადგილი ნოემოსანს და საავიერო გემს. გემზე ძლიერი აფეთქება მოხდა.

ამ ოპერაციების დროს ინგლისის ავიაციამ დაკარგა 2 თვითმფრინავი.

## ერაყის ფინანსთა მინისტრის გამგზავრება საუდის არაბეთში

**ლიონი,** 15 მაისი (საკდესი). ჰავას-ოფის საააგენტოს ცნობით, 11 მაისს ერაყის ფინანსთა მინისტრი ნაჯა სუვეიდი ერაყის არმიის უმაღლესი თანამდებობის ოფიცრის თანხლებით გაფრინდა საუდის არაბეთში ფრიად მნიშვნელოვანი მისიით საუდის მმართველ იბნ-საუდთან.

## ბაღდადში უარკყოფენ ცნობას გახა ალ-ჰაშიმის გარდაცვალების შესახებ

**ლიონი,** 15 მაისი (საკდესი). როგორც ჰავას-ოფის საააგენტო გადმოგვცემს, ბაღდადში უარჰყოფენ ცნობას ერაყის ყოფილი პრემიერის ტახა ალ-ჰაშიმის გარდაცვალების შესახებ.

## კანონი ამერიკის შეერთებულ შტატებში შერმერებისათვის სესხის გაღიდების შესახებ

**ნიუ-იორკი,** 15 მაისი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლობა ბალატამ და სენატმა ხმის დიდი უმრავლესობით მოიწონეს კანონპროექტი, რომელიც თავსილსწინის ფერმერებისათვის მთავრობის სესხის ძალზე გადიდებას ხორცელის, სიმინდის, ბრინჯისა და თამბაქოს გარანტიით. კანონპროექტი ფაქტიურად საგრძნობლად აღიდებს სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანეს პროდუქტთა მინიმალური ფასების დონეს. უნდა აღინიშნოს, რომ ახალი კანონპროექტის ზეგავლენით ჩიკაგოს პურის ბირჟაზე უკანასკნელ დღეებში ფასებმა საგრძნობლად იმატა. როგორც ასოშიეიტედ პრესის საააგენტო ეუწყება, მიწათმოქმედების სამინისტროს წარმომადგენელთა აზრით, ფერმერებისათვის სესხის გადიდება გამოიწვევს სოფლისათვის საკონლის ფასების ზრდას სულ ცოტა 10 პროცენტით. კონგრესის ზოგიერთი წევრი ჰფიქრობს, რომ რუზველტმა, რომელიც არასამხედრო ხარჯების შემცირების მომხრეა, შეიძლება ვეტო დაადოს აღნიშნულ კანონპროექტს.

## ჯაჯვნის თერმული დამუშავების გაუმჯობესებული მეთოდი

ჯაჯვნის ზაფხლის დამზადებასს სხვადასხვა მიზნისათვის (კერძოდ თვითმფრინავებისათვის) ამერიკული ფირმა „ბრიზ კორპორეიშენსი“ იყენებს გამდნარ მარილებში ფოლადის ცემენტაციის ახალ მეთოდს, რომელიც, როგორც ჟურნალი „სტილი“ ამტკიცებს, საგრძნობლად აძცირებს ამ სახის თერმული დამუშავების ხანგრძლივობას. მაგალითად, 6 მმ. სისქის დასაცავი ჯავშნის ცემენტაციას სჭირდება 8 საათი მაშინ, როდესაც წინათ 50 საათი უნდოდა.

ცემენტაციისა და წრთობის პროცესი სავსებით ავტომატიზებულია. მზა ჯავშნის სიმკვიდრის გასაზომად გამოყენებულია სპეციალური აგრეგატი, რომლის მაგიდაზე სდებენ დასამუშავებელ დეტალს, ხოლო საზომი ხელსაწყო დამონტაჟებულია განსაკუთრებულ კოუზე, ამასთან ხელსაწყოს ვერტიკალური და ჰორიზონტალური გადაადგილება ხორცელდება მექანიკური ამძრავით.

როგორც ჟურნალი იუწყება, ამავე ფირმამ შეიმუშავა თერმულად დამუშავებული ჯავშნის შედუღების ახალი მეთოდი, რომლის დროს შედუღების ადგილი გახურების შედეგად არ ჰკარგავს თავის სიმაგრეს და სიმკვიდრეს.

15 მაისი (საკდესი).



ორდენსანი საკართველოს მოწინავე სპორტმენები. **სტრაიზე** (მარცხნიდან): ორდენსანი **გ. ჩანდალაძე** ვარჯიშობს ორძალზე; სპორტის დამსახურებული ოსტატი **ბ. დიანკოვი** ჭიკვის ხტომის მოპატრონე; საკართველოს ეროვნული ეკიპაჟის ოსტატი **ლ. ლუდუბაური** (საბჭოთა წონა). ფოტო გ. ლინგისა

## ფიზკულტურელთა პარადი ლ. ბერიას სახელობის მოედანზე

ზეგან თბილისში ლ. ბერიას სახელობის მოედანზე ჩატარდება ორდენსანი საკართველოს ფიზკულტურელთა მე-4 ტრადიციული პარადი. პარადს მიიღებენ სამ ალაკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ალ. მარკოვლაკი და სამ. სსრ სახელმწიფოთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. თ სხარულიძე. პარადის სარდალია ამხ. ა. ონიანავა, ხოლო კომისარი—ამხ ბ. დანილეკინი. პარადის შტაბის უფროსია ამხ. ბ. ფაჩუკინა, სამხატვრო კომისიის თავმჯდომარე ამხ. ბ. ბერკანელიძე. სპორტულ-ტანვარჯიშებულ გამოსვლებს უხელმძღვანელებს ამხ. დ. ჩიკვაიძე.

○

პარადში მონაწილეობას მიიღებს თბილისის საშუალო სკოლების, სპეციალური სკოლების, ბავშვთა სასპორტო სკოლების, ფიზკულტურის ინსტიტუტის და ლ. ბერიას სახელობის ფიზკულტურის ტექნიკუმის, უმაღლესი სასწავლებლების, პროფკავშირების ნიჰაფოფლობითი სასპორტო საზოგადოებათა, „დინამოსა“ და ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის 25.000 ფიზკულტურელი. აგრეთვე პარადში მონაწილეობას მიიღებენ ბავშვის, ფიზზაფთის, სპორტიკა-ოსეთისა და ჭუთათისის სასპორტო დელეგაციები.

პარადის მონაწილეთა კოლონების შემოგლა დაიწყება დილის 10 საათზე, ხოლო საზეიმო მარში 10½ საათზე. ზაზეიმო მარშის დასასრულს გაიმართება ჩოგალოდგომელი სპორტულ-ტანვარჯიშული გამოსვლები.

○

პარადში მონაწილეთ ფიზკულტურელთა კოლონები მაატარებენ ეროვნული ფერადოვანი წინასწარი ორიგინალური თემის მიხედვით. მაგალითად, თბილისის ფიზკულტურელ მოსწავლეთა კოლონის, თემაა: „მიღებული სწავლისა და ფიზკულტურულ მომზადებაში საკართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XX წლისთავისადმი“, თბილისის სხვადასხვა რაიონების სკოლების მიერ არჩეული თემები გამოხატავენ ჩვენი ნორმები თამბის ოდიდეს სორეგილ ბახტენ სამშობლოს გმირული დამცველნი. მთ მიერ ორიგინალი თემებია: „ბეგინდა ეიყოთ წითელეფლოტელები“, „ბეგინდა ეიყოთ სტალინური შეკრიდნები“, „ბეგინდა ეიყოთ ტანკისტები“, „ფიზკულტურელები წითელი არმიის რეზერვია“ და სხვ. ასევე მრავალფეროვანი და საინტერესო თემებით გამოვლენ ნიჰაფოფლობითი სასპორტო-საზოგადოებების და უმაღლესი სასწავლებლების ფიზკულტურელთა კოლონები.

○

სტალინური ეპოქის ბედნიერი ახალგაზრდობის სოჯანსაღის, სიძლიერის, სპორტული ოსტატობისა და სილამაზის ნამდვილი დემონსტრაციი იქნება მსოფლიოდ სპორტულ - ტანვარჯიშული გამოსვლები, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ თბილისის სამსწავლებლო ფიზკულტურელ ინსტიტუტის, ლ. ბერიას სახელობის ფიზკულტურის ტექნიკუმის, ფიზზაფთის, ფიზკულტურის ინსტიტუტის — „სამშობლოსათვის, სტალინისათვის, წინ!“, ლ. ბერიას სახელობის ფიზკულტურის ტექნიკუმის — „ფიზკულტურელები წითელი არმიის მძლავრ რეზერვს წარმოადგენენ“, ა. ს. პუშკინის სახელობის სამსწავლებლო ინსტიტუტის — „საკართველოს ახალგაზრდობა საკართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XX წლისთავისათვის.

## ეროვნული ფინანსთა სამინისტროს ცნობა

**17 მაისს, საღამოს 8 საათზე** სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის სტუდენტთა სპეციალური წრე აწყობს პოეტ კ. ბობოხიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამოს.

საღამოში მონაწილეობას მიიღებენ მწერლები, მეცნიერი მეშაკები და სტუდენტები. საკითხია ლიტერატურა გამოვა კ. ბობოხიძე.

## ლ. კიცხოველის სახელობის პარტიული კრემლინის სახლში

**19 მაისს, საღ. 9 ს. საკ კ. პ. (ბ)** თბილისის კომიტეტის ლ. კიცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლის სალექციო დარბაზში შესრულდება მორიგი ლექციო ქართულ ენაზე თემა: **„ლენინ-სტალინის სწავლება ადამიანთა შეგნებიდან კაპიტალიზმის ნაშთების აღმოფხვრის შესახებ“** (საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის ლექციათა ციკლიდან).

ლექციის წაკითხვას ამხ. **გ. ბიბილეიშვილი.**

# ᲠᲔᲥᲚᲘᲐ

## ᲐᲛᲮᲐᲠᲔᲑᲘ

### ᲤᲝᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

**19 მაისს, საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე,** საკესტრადის სახაფხულო შეკრებაში (ბოლხანოვის პროსპექტი, 123), შესრულდება ამ. სოლეიმანის ლექციის რუსული ენაზე. თემა: **„საბჭოთა ფოტოსი ᲛᲔᲒᲐᲜᲝᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲖᲠᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ“.**

ბილეთები იყიდება საკ კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის სახელობის რაიკომში და თეატრის სალარაში.

ღამეს, 17 მაისს, საღამოს 8 საათზე, საკესტრადის საზაფხულო კლუბში საკ. რემედიოს ცენტრალური კომიტეტი აწყობს ამხ. სულეიმანის ფასიან ლექციას თემაზე: „მეორე იმპერიალისტური ომი და მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის განმტკიცების ამოცანები იმპერიალისტური ომის, რეგანციისა და ტიერორის წინააღმდეგ“.

ბილეთები იყიდება რემედიოს რაიკომებში და საკესტრადის სალარაში.

### ᲤᲝᲢᲑᲣᲠᲗᲘ

**18 მაისს** თბილისის ლ. ბერიას, საბჭოლების „დინამოს“ სტადიონზე ჩატარდება კალენდარული მატჩი სარ კავშირის პირველობაზე. თამაშობენ თბილისის „დინამოსა“ და სტალინგრადის „ტრაქტორის“ ოსტატთა საწევნელი ჯგუფები.

დასაწყისი 5 საათზე.

### ᲓᲝᲚᲘ

**18 მაისს** თბილისის საბელმწიფო ოპოდრომში ჩატარდება ცხენთა გამოცდის საკაზაფხულო სეზონის მესამე დღეი. ამ დღეს გათამაშებული იქნება 8 ჯილეში.

დასაწყისი დღის I საათზე.

### ᲠᲐᲓᲘᲝᲒᲐᲖᲔᲗᲘ

**10.30**—ბავშვება პიონერთა და მოსწავლეთათვის ქართული ენაზე (ფიზკულტურელთა გამოცდა მოკოროფონთან); **10.58**—კონცერტი; **11.30**—თბილისის ახალი ამბები ქართულ და რუსულ ენებზე; **12.00**—სიმფონიური კონცერტი; **16.30**—სოფლის კაცმა: „სპეციალისტ-ტრიოტებზე“; **12.58**—დროის შემოწმება; **16.50**—ბავშვებისთვის პროგრამა ქართულ და რუსულ ენებზე; **18.00** — კონცერტი; **19.00** — უკანასკნელ ცნობათა საღამის გამოშვება ქართულ და ჭაბერა ენებზე; **19.30**—ქართული მუსიკის კონცერტი; **20.00** — უკანასკნელი ცნობათა საღამის გამოშვება (მოსკოვიდან); **20.45** — ბავშვთა კონცერტის ბუფეტის გამოსვლა ხახანაშვილის ხელმძღვანელობით; **21.15**—სოფლის ქართულ ენაზე: „ფიზკულტურელი მეშაობა საკართველოში“; **21.30**—ლიტერატურული გადაცემა ქართულ ენაზე; **22.00**—უკანასკნელ ცნობათა ტრანსლაცია მოსკოვიდან; **22.06**—კონცერტი; **23.00** — კონცერტი საკართველოს მოწინავე ფიზკულტურელთა შეკვეთით; **00.10** — უკანასკნელ ცნობათა ღამის გამოშვება ქართულ ენაზე; **00.30** — უკანასკნელ ცნობათა ღამის გამოშვება (ტრანსლაცია მოსკოვიდან).

### ᲓᲦᲔᲡ ᲙᲘᲜᲝᲗᲐᲛᲨᲘ

**რუსთაველის** სახელობის, **კომკავშირელი** და **26 კომ.** სახელობის — „პირველი მეუღლეები ივანე ფეოდოროვი“, **ოქტომბერი** — „პატარძალი“, **დამკვრელი** (ზაფხულის) — „ქალიშვილი კაპიტანისა“, **დამკვრელი** (ზამთრის) — „პატარა დიდი“, **ლენინმეფრანის** სახ. — „ოოილოდ და ლიუდმილა“, **სპარტაკი** — „ემბლითეთ პატარძალი“, **კომინტერნი** — „პატიმარნი“, **გაზიადი** — „ოუდენინის განადგურება“, **ვარაშილოვის სახელობის კინოში** — „ოიეროი და მისი რაზმი“, **ნაციონალური რენინგზის კლუბი** — „მიტკა ლეონოვი“, **მეცნიერება და ტოფენა** — „ეიზენეტეინი“, **საზაფხულო კინოშოის ალეი** — „თოოოიანი ალეი“, **ორჯონიკიძის სახ. პარკი** — „ქალიშვილი ბალიმიდან“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიშვილი

## ᲡᲕᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲙᲘ (ᲞᲣᲜᲘᲙᲣᲚᲝᲠᲘᲡ ᲙᲚᲐᲡᲘ)

**17 მაისს** — **17—18 მაისს**

**სამეთხუველო დარბაზში ს. ᲒᲔᲓᲘᲐᲡ მოხსენება „ᲓᲝᲬᲔᲕᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡ“** დასაწყისი 9 საათზე. დასწრება თავისუფალია.

**18 მაისს** — **საქართველოს ᲡᲘᲛᲔᲝᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲐᲜᲡᲐᲑᲚᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ**

ანსამბლის ხელმძღვანელი **კ. ᲞᲐᲞᲐᲫᲙᲘᲠᲘᲫᲘ** (ორდენსანი), ანსამბლის ხელმძღ. მოადგილე **Დ. ᲙᲐᲡᲐᲫᲔ** (ორდენსანი). სამმაკ.-მუსიკ. ნაწილის ხელმძღვანელი **Გ. ᲙᲘᲚᲔᲚᲐᲫᲔ** (ორდენსანი).

**ᲣᲞᲝᲚᲝᲔᲓᲘᲡᲣᲠᲐᲓ ᲞᲐᲡᲣᲮᲝᲒᲘᲡᲘ ᲒᲐᲠᲗᲝᲑᲘᲡᲘ Გ. ᲑᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲘᲡ** ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ. დაფრენას სასულე ორკესტრი **Ა. Გ. ᲨᲣᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ** ხელმძღვანელობით. **ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲠᲒᲝᲗᲝ ᲛᲔᲡᲐᲠᲒᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲖᲝ-ᲝᲠᲙᲔᲡᲢᲠᲘᲡ.** მთელი დღის განმავლობაში მოწმობენ სასპარო ატრაქციონები, ტირი, კარუსელი, საკენელი და სხვ. საკადრაკო-საშაში და საბილიარდო ღილაკ დილის 10-დან ღამის 1 საათამდე. გახსნილია სატკეთესო რესტორანი **კოფე და კოფეტები.**

**18 მაისს საბავშვო სეირნობა** ᲔᲡᲢᲠᲐᲓᲐᲡᲗᲕᲘᲡ მოსკოვის თოჯინების თეატრის წარმოდგენა **„ᲡᲘᲠᲙᲘ ᲡᲚᲘᲜᲯᲐᲗᲘ“**
დასაწყისი დღის 1 საათზე. დასწრება თავისუფალია.

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ Შ. ᲨᲐᲚᲐᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲡᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ**

17 მაისს
მე-10 ᲐᲗ. მე-10 ᲬᲧᲐᲠᲝ.
**ᲥᲝᲗᲝ ᲓᲐ ᲙᲝᲯᲝ**

18 მაისს მე-2 ᲐᲗ. მე-16 ᲬᲧᲐᲠᲝ.
**ᲡᲕᲘᲚᲘᲩᲘᲡᲘ ᲓᲔᲓᲐᲪᲘ**
მოსკოვის, დიდი თეატრის სოლისტის, დამსახ. არტისტის, ორდენსანს
**Კ. Გ. ᲜᲘᲠᲙᲝᲕᲘᲡ**
მონაწილეობით.

20 მაისს
**ᲔᲕᲒᲔᲜᲘ ᲝᲜᲔᲒᲘᲜᲘ**
მოსკოვის, დიდი თეატრის სოლისტის, დამსახ. არტისტის, ორდენსანს
**Კ. Გ. ᲜᲘᲠᲙᲝᲕᲘᲡ**
მონაწილეობით.

დასაწყისი საღამის 8 ს.

**ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲡᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ**
1940-41 წ.წ. სეზონი

17 მაისს
**ᲣᲔᲚᲐᲜᲐᲛᲐᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲔᲜᲐᲛᲐᲕᲔᲜᲘ**
18 მაისს
**ᲓᲐᲚᲐᲒᲘ**
დასაწყისი საღ. 8 ს. და 30 წ.

**Კ. ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ**
1940-41 წ.წ. სეზონი

17 მაისს
სეირი მე-5 ᲐᲗ. მე-7 ᲬᲧᲐᲠᲝ.
**ᲛᲐᲓᲐᲛ ᲡᲐᲜ-ᲪᲔ**
18 მაისს
**ᲛᲐᲠᲒᲐᲠᲘᲢᲐ ᲒᲝᲬᲘᲫᲔ**
დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

ᲛᲝᲛᲬᲝᲚᲔᲑᲘ ᲔᲚᲔᲜᲐ, ᲝᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘᲗᲑᲘᲡ, ᲫᲐᲚᲘᲗᲐ ᲐᲜᲐ, ᲑᲘᲫᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲫᲔ, ᲛᲐᲛᲐᲛᲝ ᲡᲝᲜᲐ ᲨᲕᲘᲚᲘᲗᲑᲘᲡᲔᲚᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘᲗᲑᲘᲡ, ᲓᲘᲓᲘᲗᲘ ᲜᲘᲜᲝ ᲝᲣᲬᲣᲠᲐᲕᲓᲐᲜᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲗᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘᲗᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲗᲐᲜᲐᲨᲘ ᲛᲝᲛᲬᲝᲚᲔᲑᲘ ᲔᲚᲔᲜᲐ, ᲝᲡᲘᲡᲐᲗᲕ